

# აჭარის ბარის ზონის ბუნებრივი გარემოს ტრანსფორმაცია და მდგრადი განვითარება

*თამარ ალექსიძე*

ელ-ფოსტა: [tamar.aleksidze@tsu.ge](mailto:tamar.aleksidze@tsu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3

აჭარის შავი ზღვის სანაპიროს მიმდებარე ვაკე-დაბლობებსა და გორაკ-ბორცვიან მთისწინეთებზე არარაციონალური (მტაცებლური) ექსპლოატაციის შედეგად განადგურდა ველური ბუნების უნიკალური სახეობები - კოლხური ტყე, მარადმწვანე ქვეტყითა და ლიანებით. მისი ადგილი დაიკავა ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებმა, ხეხილის ბაღებმა ვენახებმა, ბაღჩეულ-ბოსტნეულმა კულტურებმა. სწორედ სამეურნეო საქმიანობა გახდა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც ბუნებრივი გარემოს ანთროპოგენური ტრანსფორმაცია გამოიწვია.

ჩვენი კვლევის ობიექტს აჭარის ზღვისპირა - ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების 500-600 მ-მდე ჰიფსომეტრიული ზონა წარმოადგენდა. აღნიშნულ ზონაში 500 მ სიმაღლემდე ტყეებისა და ბუჩქნარების ფართობი შესაბამისად 763 და 1215 ჰა-ს შეადგენს. ბოლო წლებში ბუჩქნარების ფართობი გაიზარდა ჩაის პლანტაციების გაპარტახების გამო. 90-იან წლებში კატასტროფულად შემცირდა ჩაის, მნიშვნელოვნად კი ციტრუსოვანთა პლანტაციები. დღეისათვის აჭარის ზღვისპირა რაიონებში ციტრუსოვანთა ახალი პერსპექტიული ჯიშების გაშენება ხდება ყოველწლიურად 30-35 ჰა-მდე ტერიტორიაზე.

აჭარის რეგიონში ბუნებრივი გარემოზე სამეურნეო ზემოქმედების შედეგად (მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, რეკრეაცია და ტურიზმი) ფართო მასშტაბები შეიძინა ისეთმა სტიქიურმა პროცესებმა, როგორცაა: წყალდიდობა, მეწყერი, ეროზია, ქარიშხლები, რომელთა წარმოშობა-განვითარება სულ უფრო მწვავე და არარეგულირებად ხასიათს იძენს.

- საკვლევ რეგიონში ფაქტობრივად სრულად ტრანსფორმირებულია სანაპირო ზოლი-გონიო-კვარიათის, ბათუმი-მახინჯაურის, ჩაქვი-ციხისძირის და ქობულეთის (ფიჭვნარი) მონაკვეთები;
- მნიშვნელოვანი სახეცვლილება განიცადა ვაკე-დაბლობის მიმდებარე გორაკ-ბორცვიანმა მთისწინეთებმა.

მდგრადი განვითარებით არის შესაძლებელი ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების ისეთი შერწყმა, რომელიც უზრუნველყოფს მათ წონასწორობას.